შპს არტსტუდიო-პროექტი
2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგმომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

	კომ.	31.12.20	31.12.19
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები		482,026.68	939,591.31
მოკლევადიანი მოთხოვნები	3	20,108.95	51,577.35
მარაგები		13,610.71	14,517.78
სხვა მიმდინარე აქტივები	4	232,555.31	108,290.92
		748,301.65	**1,113,977.36**
გრძელვადაინი აქტივები			
წმინდა ძირითადი საშუალებები	5	220,164.41	204,806.79
		220,164.41	**204,806.79**
		968,466.06	**1,318,784.15**
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		584,733.81	983,746.84
მოკლევადიანი სესხები		2,916.40	2,183.90
		587,650.21	**985,930.74**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200.00	200.00
აკუმლირებული მოგება/(ზარალი)		380,615.85	332,653.41
		380,815.85	**332,853.41**
		968,466.06	**1,318,784.15**

დირექტორი
ი. სკალვინი

ბუღალტერი
ხ. სარიშვილი

საქმიანობის შედეგები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

	2020	2019
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	2,595,445.24	2,285,921.88
მომსახურების თვითღირებულება	(580,350.99)	(521,616.50)
საერთო მოგება	**2,015,094.25**	**1,764,305.38**
სხვა შემოსავლები	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,427,930.04)	(1,295,157.98)
ცვეთა და ამორტიზაცია	(22,902.53)	(27,369.42)
იჯარის ხარჯი	-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(289,097.00)	(249,528.30)
საოპერაციო მოგება	**275,164.68**	**192,249.68**
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	(127,202.24)	(26,259.18)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	**147,962.44**	**165,990.50**
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)	**147,962.44**	**165,990.50**
საკუთრი კაპიტლი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	**332,853.41**	166,662.91
საწესდებო კაპიტალი	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(100,000.00)	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**380,815.85**	**332,653.41**

დირექტორი	ბუღალტერი
ი. სკალვინი	ხ. სარიშვილი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს არტსტუდიო-პროექტი (ს/ნ 204489393, შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია 2005 წლის 18 ოქტომბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, გ. ტაბიძის ქ., N3/5.

კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან:

- გიორგი სულაბერიძე (პ/ნ 01008003578) – 50%;
- ვასილ წერეთელი (პ/ნ 01005002922) - 50%

კომპანიის მენეჯმენტი შედგება:

- დირექტორი - ოთარ სულაბერიძე (პ/ნ 01008047000);
- დირექტორი - ირენე სკალვინი (პ/ნ 01030053980).

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საპროექტო მომსახურება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე

გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები	2020	2019
მოთხოვნები მომსახურებიდან	20,108.95	48,832.97

მოთხოვნები პერსონალისადმი	-	2,744.38
	20,108.95	**51,577.35**

4. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები	2020	2019
გადასახადები	229,575.23	105,310.84
წინასწარ გაწეული ხარჯები	2,980.08	2,980.08
	232,555.31	**108,290.92**

5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	31.12.2019	წმინდა ცვლილება	31.12.2020
ისტორიული ღირებულება			
შენობები	377,874.73	-	377,874.73
ოფისის აღჭურვილობა	115,243.67	9,917.79	125,161.46
კომპიუტერული ტექნიკა	224,908.90	28,342.36	253,251.26
სატრანსპორტო საშუალებები	74,139.02	-	74,139.02
არამატერიალური აქტივები	286.45	-	286.45
	792,452.77	**38,260.15**	**830,712.92**
აკუმლირებული ცვეთა			
შენობები	(191,332.00)	(4,120.00)	(195,452.00)
ოფისის აღჭურვილობა	(99,269.95)	(9,229.36)	(108,499.31)
კომპიუტერული ტექნიკა	(172,905.69)	(7,799.69)	(180,705.38)
სატრანსპორტო საშუალებები	(123,813.01)	(1,712.50)	(125,525.51)
არამატერიალური აქტივები	(325.33)	(40.98)	(366.31)
	(587,645.98)	**(22,902.53)**	**(610,548.51)**
საბალანსო ღირებულება			
შენობები	186,542.73	(4,120.00)	182,422.73

ოფისის აღჭურვილობა	15,973.72	688.43	16,662.15
კომპიუტერული ტექნიკა	52,003.21	20,542.67	72,545.88
სატრანსპორტო საშუალებები	(49,673.99)	(1,712.50)	(51,386.49)
არამატერიალური აქტივები	(38.88)	(40.98)	(79.86)
	204,806.79	**15,357.62**	**220,164.41**

6. ცვლილებები წარდგენაში

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია გარკვეული უზუსტობები წინა წლის ანგარიშგებაში, რის გამოც კორექტირებულია შესადარისი პერიოდის ზოგიერთი მუხლი. აღნიშნული კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ფინანსური მდგმომარეობის მუხლი	კორექტირებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	თავდაპირველი წარდგენა	კორექტირება	რეკლასიფიკაცია / შესწორება
მოკლევადიანი მოთხოვნები	51,577.35	816,175.00	(764,597.65)	რეკლასიფიკაცია / შესწორება
სხვა მიმდინარე აქტივები	108,290.92	107,844.00	446.92	რეკლასიფიკაცია
სავაჭრო ვალდებულებები	983,746.84	1,831,494.00	(847,747.16)	რეკლასიფიკაცია / შესწორება
მოკლევადიანი სესხები	2,183.90	-	2,183.90	რეკლასიფიკაცია

საქმიანობის შედეგების მუხლი	კორექტირებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	თავდაპირველი წარდგენა	კორექტირება	რეკლასიფიკაცია / შესწორება
აკუმლირებული მოგება/(ზარალი)	332,653.41	251,241.00	81,412.41	შესწორება